დედის სიმღერა

ცხა თვეს მუცლით გატარებდი,
ნვაითნ გშობე, ნუითნ გზარდე,
და რად გიკვირს ყოველ ქალზედ
უფრო დედას რომ უყვარდე?

ქალი მამას ქმარში გასცვლის,
ცოლი ქვრივი სხვას წაჰყვება;
მაგრამ დედას შვილის ტრფობა
სამარეში თან ჩაჰყვება!

ახლოს გული მისთვის უძგერს,
შორს მყოფთ ფიქრით თავს ევლება:
უფიბქრებლად თავს შესწირავს, -
დედას თვის შვილს ენაცვლება!...

მაგრამ შვილი ხშირად დედას
გასცვლის ხოლმე სიყვარულში!...
არ იცის, რომ მოტყუებულს
სხვისი სატრფო რჩება ხელში!...

მაგრამ ნება ბუნებისა
ეს არის და ასე იყოს:
დედამ შვილი შვილისათვის
თავის-თავი დაივიწყოს!...

რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ
შავი ფიქრი გულს მიბრუნავს...
ვაჰ, თუ გშია! ან გწყურია!
ან გცივა და არა გხურავს!

ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზედ,
გულს გასვია მტრის ისარი
და, რომ წყლული შეგიხვიოს,
დედა-შენი არსად არი!...

ვათ, თუ შენს ლამაზ თვალებს
ყვავი ჰკორტნის და ყორანი,
და უნაგირით უპატრონოდ
დაგხვიხვინებს თავს მერანი!...

ვჭჰ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა
ჩიტი ბუდეს შიგ უფენდეს?

მაშინ დედა-შენიც ჩიტატ
გადაიქცეს, შენსკენ ჰფრენდეს!...

1875 წ.